№ 62. 22 მარტი, კვირა. 1866—1881 22 მარტი, კვირა. № 62.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილაზე. გარ[ე]ეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 4 კაპ., წვრილებიანი ასო მოკვრილით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებიანი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

## ტელეგრამმა

პეტერბურღი, 21 მარტს. მოსკოვის გამოფენა მომავალ წლამდინ გადიდვა.

აღმოაჩინეს მეექვსე მონაწილე 1 მარტის ბოროტ-მოქმედებისა ეკატერინესლავის გუბ. მცხოვრები, მღვდლის-შვილი ნიკოლაი კიბალჩიჩი. ეს გატყდა, რომ ასატეთქი ყუმბარები, რომელიც იმპერატორს ესროლეს, ჩემი გაკეთებული არისო.

26 მარტისათვის დანიშნული გასამართლება ბოროტ-მომქმედთა კიდევ გადადვეს.

გუშინ ამორჩეულთაგან ამოარჩიეს 25 წევრი გრადონაჩალნიკის რჩევისათვის. ამათ გადაწყვიტეს: 1) ზასტავის გამართვა პეტერბურღიდამ მიმავალ ყველა გზებზე და 2) პასპორტების ჩაწერა და პოლიციის ზედამხედველობა ყველა იზვოსჩიკის ეკიპაჟებისა, რომელიც რკინის გზით მოდიან.

პეტერბურღის ბირჟა, 20 მარტს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა | 96—12 |
| მეორესი | 93—25 |
| მესამესი | 93—75 |
| მეოთხესი | 93—12 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92—50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92—50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92—50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7—93 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „—„ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის | 225—„ |
| მეორე სესხის | 217—25 |

1 მანეთი ღირს:

| | |
|---|---|
| ლონდონი | 24—81 პენსი |
| ჰამბურღი | 211—75 ცენტი |
| პარიჟი | 262—25 სანტიმი |
| ვენა | 129—50 პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — — |

## ჩვენი ახალგაზდობის მოვალეობა.

ტფილისი, 21 მარტს.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს გაზეთში რამდენიმე შენიშნვა იყო დაბეჭდილი იმის თაობაზედ—თუ რას უნდა მისდევდნენ ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები უმაღლესს სასწავლებლებში ყოფნის დროს, რა გვარი სწავლა უფრო საჭიროა იმათთვის, რა დახმარება შეუძლიანთ, სტუდენტობის დროს, სამშობლო ლიტერატურისა და საზოგადოთ თავის ქვეყნისათვის და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ, ჩვენი აზრიც გამოვთქვათ ამ ფრიად მძიმე და საინტერესო საგანზე ორიოდე სიტყვით.

თავიდამვე ვაცხადებთ, თანახმა არა ვართ იმ პირებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მოსწავლე ახალგაზდობა, სანამ ის მოსწავლეა, სანამ ის რომელსამე სასწავლებელშია, სრულ მოქალაქეთ, ყველა უფლების მქონებლად არ უნდა ჩაითვალოსო. ჩვენის აზრით, ყველა სრულ-წლოვან მოქალაქეს, სწავლობს ის თუ არა, უნდა მინიჭებული ჰქონდეს სრული ის უფლება, რაც საზოგადოთ დანარჩენ წევრებსა აქვთ. ვინმე რომ ორმოც წლამდინ სწავლობდეს (ამის მაგალითები იშვიათი არ არის), განა ამისთვის ის თავის მოქალაქობრივ უფლებას მოკლებული უნდა იყვეს? პარლამენტალურ სახელმწიფოების მაგალითიც ამას გვიმტკიცებს: ყველგან, სადაც კი ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს, პარლამენტის დეპუტატებს, ყველგან ამ არჩევანში და კენჭის-ყრაში სრულ-წლოვან მოსწავლე ახალგაზდებსაც აქვთ კენჭი, ესენიც იღებენ მონაწილეობას ხალხის წარმომადგენელთა არჩევანში, ამათ აქვთ ხმა საზოგადო, სახალხო საქმეებში.

ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ხალხს ჯერ არა აქვს მინიჭებული ის უფლება, რომ თვითონვე განაგოს თავის საქმეები, ან მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეების გამგეობაში. ეს მოვალეობა სრულიად მოავრობას უკისრნია. საუბედუროთ, ჩვენ ჯერ არც უმაღლესი სასწავლებლები გვაქვს.

მაშასადამე ამ მხრით ჩვენს ახალგაზდობას სამოქმედო ასპარეზი არა აქვს.

მაგიერად იმას დარჩენია მეორე ასპარეზი, რომელზედაც გამოსვლა და მოქმედება შეუძლიან და რომელიც აგრეთვე საზოგადო, სახალხო ასპარეზია: ჩვენ ვამბობთ ლიტერატურაზედ.

და ერთი ჩვენებური სტუდენტი, ბ. ს. ლორთქიფანიძე, პირ-და-პირ ამ საგანზედ მიუთითებს თავის ამხანაგებს: სტუდენტები მოვალენი არიანო, ამბობს ის, რომ აქვე სტუდენტობაში, იმუშაონ ლიტერატურის გზით თავის ხალხის წარმატებისათვისაო; იმათ შეუძლიანთ ქართულ ენაზედ შეადგინონ სახალ. საექიმო წიგნები, სახელმძღვანელოები გიგიენისა და სხვა მეცნიერებისა, შეუძლიანთ შეისწავლონ სამშობლო ისტორია, გამოსცენ მონოგრაფიებიო და სხვ. და სხვ.

შეჭველია, ყველა ეს შეუძლიანთ და ამ მხრით მიქცეული იმათი მოღვაწეობა უნაყოფოდ არ ჩაივლის; მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ პირ-და-პირი მოვალეობა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ჩვენის ახალ-გაზდობისა სრულებით ამ გვარი შრომა და მიმართულება არ უნდა იყვეს

რისთვის იღებენ ჩვენი ახალ-გაზდები უმაღლესს სწავლას? შეჭველია, იმისათვის, რომ თავის სამშობლო ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, თავის სწავლისა და ცოდნის შემწეობით, უფრო მომეტებული სარგებლობა მოუტანონ იმ ხალხსა და ქვეყანას რომლის შვილად ითვლებიან.

ახლა ვიკითხოთ: განა ერთსა და იმავე დროს შეუძლიან, სტუდენტს, რომ იქვე, ვსთქვათ უნივერსიტეტში, სტუ-

---

## «დროების» ფელტონი, 22 მარტს.

### ცხელ-ცხელი ამბები.

რადგანაც ჩვენში ბევრი ბოდიში საჭირო აღარ არის, ამისთვის უნდა გამოგიტყდე, ბ-ნო მკითხველო, რომ ამ ჩემ დღევანდელ ნაწერში ცხელ-ცხელ ობროლობის მეტს ვერასა ნახავ. შენ კი ეგება არ გესიამოვნოს, მაგრამ მაგიერათ ბევრს სხვას იამება, რადგანაც, როგორც შემიტყვია, ჭკვიან რამეზედ სისულელეს უფრო მეტი მუშტარი ჰყავს.

და მასთანაც ამისთანა დროში, რა უნდა გავიდეს, თუ არ ობროლობა: უხეირო არაკები, მესტვირული შაირები და უმნიშვნელო ზღაპრები?

მაშ მეც ზღაპრით დავიწყებ:

იყო და არა იყო-რა, ერთი დედაბერი იყო... მაგრამ სსსუუ! „ერთი დედაბერიო", რომ ვსწერ ასე თამამად, მერე აპრუწაანთ მეფემიამ რომ თავის თავზედ მიიღოს: „მე ვარ ის ერთი დედაბერიო"—ხომ ერთ დავიდარაბას შემიყენებს?

არა, არა! სხვა ნაირათ უნდა დავიწყო. ერთი დედაბერი კი არ იყო: მამაბერი იყო. აჰ, არც ასე ივარგებს: იტყვიან ჩაპრუწაანთ ლაზარე ჰყოლია სახეშიო.

აბა, არც ერთი და არც მეორე!... ერთი ვირი იყო. ერიჰა! ვინ იცის, აქაც რამდენი მუშტარი გამოჩნდება... რამდენი დარბაისელი მიიღებს თავის-თავზედ!.... მუტრუკი რომ ვახსენო?!..ზოგიერთ ახალ-გაზდებს არ იამებათ.

მაშ ასე დავიწყოთ: ერთი ბოლოქანქალა ჩიტი იყო და.... ოჰ! ოჰ! ოჰ! ეს სულ უარესი იქნება: გადამერევიან ქალები! ერთის სიტყვით, ესეთ დროში ვართ რომ ძაღლი პატრონს ველარ სცნობს და ალარაფრის წერაც არ ხერხდება. დალოცვილი რედაქტორი კი ილაჯს გვიწყვეტს. ეჰ, რაც მოხდეს, მოხდეს! ერთს ადამისხნის ზღაპარს ვიტყვი და ვისაც გაუგონია, ყურს ნულა უგდებს.

ძველად ერთი დიდებული მეფე იყო: დღე და ღამ სულ მისის სამეფოს ბედნიერებაზედ ჰფიქრობდა; მაგრამ ვერას არიგებდა კი. ერთ დღეს მკითხავმა მოახსენა:

„—დიდებულო ხელმწიფეო. თქვენ სამეფოში არა გაკეთდება-რა, სანამ ქაჩლებსაც ბინა ექნებათო. თუ ისინი არ მოიშორეთ როგორმე, შრომა და ზრუნვა უქმათ ჩაგივლისთო".

დაიჯერა მეფემ გასცა ბძანება და მისთანა თქვენ მტერს იმ სამეფოს დღე დაადგა: ქაჩლებს ხუჭუჭა თმიანებიც მიაყოლეს ხელ-ქვეითებმა. მათის შიშით ქუდი ველარავინ დაიხურა: მაშინვე სიქაჩლეს შესწამებდენ! ბრუნდსა და მართალს თმაში ავლებდენ ხელს და ქოჩორს აგლეჯდენ... ვინც კი კარის კაცების მორჩილი და მონა არ იქნებოდა, მაშინვე ქაჩლობას დასწამებდენ და ვილას შეეძლო ხმის ამოღება?

შესწუხდა ხალხი ველარ შესძლო მოთმინება და მიუგზავნეს მეფეს მთხრობელი:—აღარა ვართ! ამოვვარდით ამ თქვენის კარის კაცებისაგანაო! თუ ამათ ასე წამ და უწუმ თმაში ხელი გვავლეს დავქაჩლდებით, აბა რა დაგვემართებაო?

მეფემ მოიხმო კარის კაცები და გამოჰკითხა. მაგრამ იმათ ასე იმართლეს თავი:—მართალია, ხან-და-ხან ხუჭუჭა თმიანებსაც მოვავლებთ ხოლმე ხელსაო, მაგრამ უმისობაც არ შეიძლებაო. აბა როგორ გავიგოთ მათი საკუთარი თმა არის თუ არა? განა არ შეიძლება, რომ ქაჩალმა სხვისი თმა გაიკეთოს და თავი გამოგვაპაროსო!

მეფემ მოუწონა ხელ-ქვეითებს ერთგულება და მოხერხება და არა თუ შერისხა, კიდევაც დააჯილდოვა. ამით გათამამებულმა კარის კაცებმა სულ მუსრი გაავლეს სამეფოს!... დარჩათ ბურთვი და მოედანი. „ქვეყნის ჭირი მათი ლხინი შეიქნა!"

შევიწროვდა სამეფო. მოხდა ამბოხება და ეს ვერ დაურჩა მეფეს სასიამოთ. დაიბარა კარის-კაცები და შეჰყარა ერთ დიდ დარბაზში: არჩიეთ რამეო!.. თვითონ კი სენაკში დაიმალა და იქიდამ ჯუჯუტანით უყურებდა დარბაისლებს. უნდოდა შეეტყო—რა ნაირათ ირჯებიან ისინი, მაშინ როდესაც მეფეს არა ჰხედვენ?..

დენტობის დროს, იმდენათ ზედმიწევნით შეისწავლოს საქართველოს ისტორია, ან ექიმობა, ან გიგიენა, ან სხვა რაიმე საგანი, რომ წიგნები სწეროს და გამოსცეს ქართულს ენაზედ და მეორეს მხრით, თავის პირ-და-პირ მეცნიერების სწავლასაც არ მოაკლდეს? ორი კურდღლის ერთ დროს გამოდევნება ან ორი საზამთროს ერთად ხელში დაჭერის სურვილი არ იქნება ეს?

ჩვენ გვგონია, ესე იქნება. და ამიტომ ყველას ის ემჯობინება, რომ ჩვენი სტუდენტები ამ შემთხვევაში არ აჩქარდებოდნენ. რასაკვირველია, ისინი მოვალენი არიან, რომ თავის სამშობლო ქვეყნის ლიტერატურულ და სხვა ყოველ მხრივ მოძრაობას, თვალ-ყური ადევნონ, მოვალენი არიან, რომ არ გასწყვიტონ კავშირი თავის ხალხთან. მაგრამ ჯერ-ჯერობით რომ ასპარეზზე გამოსვლას თავს დანებებოდნენ, უკეთესი იქნება; უკეთესი იქნება იმათთვისაც და თვით ჩვენი ქვეყნისთვისაც.

უკეთესი იქნება იმიტომ, რომ მაშინ იმათ უფრო მომეტებული დრო დარჩებათ უმაღლესს სწავლის მისაღებად, მეცნიერების შესაძენად და საზოგადოთ გონების გასახსნელად. და რაც უფრო ნასწავლი, რაც უფრო გონება-განვითარებულნი დაბრუნდებიან შემდეგ ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ერთი-ორად მომეტებულის სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ თავის დაჩაგრულ და დაცემულ ხალხისათვის.

ერთი ჩვენი უბედურება და ჩვენი ქვეყნის საზოგადო საქმეების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ საზოგადო ასპარეზზე ერთბო მოუმზადებელი გამოდიან; საზოგადო, საქვეყნო საქმეებს ისეთი კაცები ჰკისრულობენ, რომელთაც ქვეყნიერობის ბევრი არა გაეგებათ-რა; არც სწავლა-მეცნიერებით და არც გონების-გახსნილობით არიან ამ მძიმე მოვალეობისათვის მომზადებულნი. ამიტომ არის, რომ ესრედ-წოდებულ ჩვენს ინტელიგენციას, განათლებულ ახალგაზდობას, სასურველი გავლენა არა აქვს ჩვენ საზოგადო საქმეების მსვლელობაზედ, წარმატებაზედ.

სანატრელია, რომ მამავალი ჩვენი განათლებულთა თაობა, იმედი და ნუგეში ჩვენის საწყალი ქვეყნისა, ამ დამაბრკოლებელ მიზეზს მოკლებულ იყოს, რომ ის საზოგადო ასპარეზზე ნამდვილ მოქალაქედ, მძლავრ მებრძოლეთ ყოველ გვარ ბოროტებისა, გამოდიოდეს და ამისათვის ჯეროვანადაც დაიარაღებული იყვეს... ამ იარაღს, რასაკვირველია, მარტო სწავლა, მეცნიერება, გონების გახსნილობა და კარგი მიმართულება აძლევს.

## ახალი ამბები.

მთელს რუსეთში გამართულია ამ ჟამად ხელის-მოწერა მიცვალებულის იმპერატორის სახსოვრად თუ ეკკლესიის თუ ძეგლის ასაგებისათვის, თუ სკოლის ან საავათმყოფოს გასამართავად და სხვ.

ამ შემთხვევაში ჩვენი დედა-ქალაქიც არ უპირებს რუსეთის ქალაქებს უკან ჩამორჩენას: აქაც არის ამაზედ ლაპარაკი და სჯა. მაგრამ, საუბედუროთ, ჯერ ერთ რაზედმე ვერ გავჩერებულვართ: მარტო დღევანდელს „კავკაზში“ სამი წინადადება არის დაბეჭდილი: ბ. პასუმოვი აცხადებს, რომ მიცვალებულ ხელმწიფე-იმპერატორის სახსოვრად საყმაწვილო საავათმყოფო გაეხნათო; ვიღაც ოლგა ბროვდოვსკისა ამბობს, ეკკლესია ავაგოთ და იმასთან ღარიბ და უპატრონო ყმაწვილებისათვის თავ-შესაფარი სახლიო; თვითონ „კავკაზის“ რედაქციის აზრით კი ყველას ის ემჯობინება, რომ ამთავითვე არ გავსაზღროთ —თუ რა გაკეთდეს ან რა გაიმართოს, ჯერ ხელის-მოწერა დავიწყოთ, ფული მოვაგროვოთ და მერე გარდავწყვიტოთ რაც გაკეთდეს იმ ფულით.

რაღა თქმა უნდა, თვითონ აზრი და წინადადება, რომ მიცვალებულ იმპერატორის სახსოვრად რამე კაკეთდეს ჩვენ ქვეყანაში ყოვლად საქები და მოსაწონი აზრია, და არა გვგონია, რომ ისეთი ვინმე აღმოჩნდეს ჩვენს ქვეყანაში, რომ ამ აზრს სიტყვითაც და საქმითაც თანაგრძნობა არ აღმოუჩინოს. მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ამთავითვე განესაზღვრა-თუ რა სახსოვრისათვის გაიმართოს ხელის-მოწერა, ხსოვარი აუგოს კავკასიამ დიდებულ ხელმწიფეს. ჩვენის აზრით, ეს საქმე ჩვენმა ქალაქის რჩევამ უნდა იკისროს.

* * *

ჩვენ გავიგონეთ, ვითომც ტფილისის გუბერნიის სკოლების დირექტორათ, ბატ. სტრელეცკის მოადგილეთ, ინიშნება ვიღაც დარსკი, ტფილისის პროგიმნაზიის მასწავლებელი. მართალია ეს ამბავი თუ არა — ამაზედ გარდაწყვეტილი, რასაკვირველია, ვერას ვიტყვით. მაგრამ თუ მართალია, არ შეგვიძლიან ამის თაობაზედ არ გამოვაცხადოთ ჩვენი გაოცება. მართლა და როგორ გასაოცარი არ უნდა იყოს ეს ამბავი? რა არის დარსკი? ეს არის ეხლა-ხან მოსული მასწავლებელი, ყაზანის სასულიერო აკადემიაში კურს-შესრულებული; სულ ექვსი წელიწადია, რაც სამსახურშია. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ბატ. დარსკი, რომელსაც, როგორც შევიტყეთ, ტფილისიდამ ფეხი არსად არ გადუდგამს სრულიად არ იცნობს ჩვენს ქვეყანას და არა გვგონია, რომ იმან ამ მძიმე მოვალეობის რიგიანად შესრულება შეიძლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ მიცვალებულ იმპერატორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად ტფილისიდამ და ქუთაისიდამ წასული დეპუტაცია 13 მარტს ჩასულა პეტერბურღში.

* * *

ორშაბათს ქალაქის რჩევაში სხვათა შორის იქნება მოლაპარაკება ცხენის რკინის-გზის პროექტზე,

# რუსეთი

—— ნემეცურ გაზ. *National Zeitung*-ში იწერებიან: იმპერატორი ალექსანდრე II-ის განსვენებაზედ დაესწრნენ ყველა სამზღვარ გარეთის ელჩები რუსეთისა. ამის შემდეგ ამ ელჩებთაგან, ხელმწიფე იმპერატორის თავს მჯდომარეობით, შესდგება კონფერენცია მოსალაპარაკებლათ, თუ როგორი პოლიტიკა უნდა დაიჭიროს რუსეთმა უცხო ქვეყნებთან.

— შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფ ლორის-მელიქოვი, როგორც იწერება გაზ. „მინუტა“ ავათ არისო. ამ უკანასკნელმა შემთხვევამ ძალიან ცუდი გავლენა იქონია გრაფზედაო. დილაობით ხშირად სისხლს ახველებსო.

— „ვოლფის სააგენტო“ ამტყუვნებს იმ ხმებს, რომ ვითომ გრაფ ლორის-მელიქოვს განეზრახოს სამსახურიდამ გამოსვლა. თუმცა გრაფმა, იმპერატორი ალექსანდრე III ტახტზე შესვლის-თანავე, მიართვა მას დათხოვნითი ქაღალდი, მაგრამ იმპერატორმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა და გრაფი ისევ დარჩება სამსახურშიო.

---

იცადეს, იცადეს კარის-კაცებმა და რომ აღარ გამოვიდა მეფე, უკმაყოფილება დაიჩინეს. ერთმა მათგანმა სთქვა:

— ახლა რომ მეფეს ვინმე გამოიყვანდეს, სწორეთ მიწამდი თაყვანსა ვსცემ ასეო! ბადიხარა, უეცრათ ქუდი მოეარდა და აკი ქაჩალი თავი გამოუჩნდა. მეფემ ეს დაინახა საიდუმლო ოთახიდამ და გაუკვირდა. მეორე დარბაისელმა უთხრა პირველს:

— შე უხეირო, სხვასთანაც რომ მაგრე მოგივიდეს, მერე რაღა გეშველებაო! აი ასე მაგრათ უნდა გეხუროს ქუდიო! რამდენიც უნდა ვაქნიო თავი არ მომძვრებაო, თუ მე თვითონ გულ-და-გულ არ მოვიხადე ასეო!.. მოიხადა ქუდი და გამოუჩნდა იმასაც ქაჩალი თავი! მეფემ ესეც დაინახა.

მესამე დარბაისელთაგანმა უთხრა იმ ორს:

— თქვე ოხრებო, მაგ ქაჩალ თავს რომ იჩენთ რა სასიამოვნო გგონიათო!

— შენ ვინა გკითხავსო? უპასუხეს და სიცილით წაჰკრეს თავში. მესამესაც ძალა-უნებურათ ქუდი გადაუარდა და ისიც ქაჩალი გამოდგა!..

მეფემ რომ ესეც დაინახა, აღარ იცოდა — რა ექნა. ადგა გამოვიდა დარბაზში და ჰკითხა კარის-კაცებს:

— რა მიზეზია, რომ სამეფო ასე გამიორგულდაო? იმათ უპასუხეს, რომ ეს სულ ქაჩლების ბრალიაო; ვსდევნით, დღე და ღამ მოსვენება არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვერა გავაწყვეთ, არა გვეშველა-რაო!

— რათი გინდოდათ, რომ გაგეწყოთ, და რა საშუალობას ხმარობდითო? უბძანა ისევ მეფემ.

— ზოგს თავსა ვსჭრიდით და ზოგს მდუღარეს ვასხამდით და ღადარს ვაყრიდით თავზედაო.

— ბევრი გიშრომიათ, მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ, რადგანაც ქვეყნიური საშუალობა აღარ გამოგვდგომია, ახლა უნდა ზეციერს მივმართოთ და თუმცა ქუდის მოხდა ჩვეულება არ არის, მაგრამ ახლა კი მე გიბძანებთ: ყველამ ქუდი მოვიხადოთ და თავ-შიშველი შევევედროთ ღმერთს, რომ ქაჩლები მოგვაშოროს.

ფერი ეცვალათ კარის-კაცებს, მაგრამ რაღას იზამდენ! ძალა-უნებურად მოიხადეს ქუდები და მისთანა თქვენს მტერს: სუყველა ქაჩლები გამოდგნენ! მაშინ კი მიხვდა მეფე, რომ მოტყუებული ყოფილა; მოიხმო თავის სამეფო და ასე უბრძანა:

— მადლობა ღმერთს, ახლა კი შევიტყვე, რაც ამბავი ყოფილაო... წაიყვანეთ ეს ჩემი კარის-კაცები და რაც გინდათ, ის უყავითო!..

— ნათქვამია, შენი ჭირიმე: რაც თხამ თრიმლს უყო ის თრიმლმა თხის ტყავსაო! მოახსენეს ქვეშევრდომებმა და სტაცეს ხელი კარის-კაცებს:

გადაატყავეს თავის კანი და გადააკრეს დაირას. მის შემდეგ, აღარც ამბოხება და აღარც უკმაყოფილება. ორგულებიც კი გაერთგულდნენ. საქმის დროს მუშაობდენ და უქმე დღეს ილხენდენ, დაირს უკრავდნენ, თამაშობდენ და ასე დამღეროდენ:

ჰე!.. ორგულო, შენი სული
ეშმაკების ბარგია!
და ეგ შენი თავის კანიც
დაირისთვის კარგია!..

—

დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!
დაუკარი დაირა!..
ჩვენმა ცოდვამ ქვეყნის ორგულს
ქისერზედ დააჭირა!..

—

მოღალატევ, რაც ცუდია
ყველა შენი ნარგია!
სისხლ-ჭარბი ხარ და ნემტერი
ხან-და-ხან შენც გარგია!

—

დიფ-ტი-პიტო! დაფ-ტი-პიტო!
ბამიხურდი დაირა!..
ორგული და მოღალატე
ეშმაკმა დაიპირა!..

აკაკი.

## „დროების" კორრესპონდენცია

—

**თელავი, 6-ს მარტს.** კარგა ხანია მას აქედ, რაც „დროებაში" არავითარი ცნობა არ ყოფილა კახეთიდამ. ეს გარემოება უფრო გასაკვირველია, რომ შარშან კახეთიდამ თუ თელავიდამ ხშირად იგზავნებოდნენ წერილები „დროებაში" და წელს-კი, როდესაც მომეტებული თუ არა, ნაკლები საკორრესპონდენციო მასალები აქ—ჩვენს უგზო-უკვლო კახეთში. შარშან „დროებას" კახეთში მუდმივის კორრესპონდენტის გარდა, რამდენიმე შემთხვევითიც ჰყავნდა და წელს-კი—არავინ ხმას არ იღებს... იქნება იმიტომაც ჩაჩუმდნენ აქაური კორრესპონდენტები, რომ საზოგადოებისაგან მრავალი უკმაყოფილება მიიღეს... ჩვენც უნდა ვაღიაროთ, რომ სამწუხაროდ კახეთში ბევრს არ ესმით კორრესპონდენტების მნიშვნელობა; მეტადრე კახეთში, სადაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს კორრესპონდენტი, რადგანაც ეს მხარე ფრიად დაშორებულია საქართველოს დანაშთენს ნაწილებთან; რადგანაც აქ ფოშტა ორჯერ მოდის კვირაში და ხშირად ისიც უთავ-ბოლოდ... არც რკინის გზა ეღირსა ტურფა კახეთსა..

გაზეთში წერა ჩემი საქმე არ არის და არც ეხლა ავიღებდი კალამს ხელში, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაიძულა თქვენს გაზეთში წერილის გამოგზავნა.

საქმე შეეხება თელავის მაზრის მოზარდს თაობასა და პირნი, რომელთაზედ უნდა გელაპარაკოთ, გახლავან: თელ. სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ვ. ი. პიკნაძე, ქართველი, აზნაურშვილი, მაგრამ მაზრის უფროსის წინაშე აღიარებული—„ქართული არ მესმის, ქართული არ ვიციო!" და მისივე მასწავლებელი ბ. პუპჩენკოვი, მასწ. მეორე კლასისა. ბ. პიკნაძე სრულიად გულ-გრილად ეპყრობა ბ. პუპჩენკოვის შეუსაბამო ქცევასა, რომ იგი ყოველთვის, როცა რიგია, სასწავლებელში არ იმყოფება გაკვეთილების დროს და არ აქცევს ყურადღებას, რომ ბ. პუპჩენკოვი ნახევარზედ აკლდება გაკვეთილებსა უმიზეზოდ. რაც ბ. პუპჩენკოვი გადმოიყვანეს თელ. სამოქ. სასწავლებელში, თითქმის მუდამ დღე აკლდებოდა პირველს გაკვეთილებზედ. იანვარში და თებერვალში ბ. პუპჩენკოვი ხშირად ჰსტოვებდა მთელის დღის გაკვეთილებსა; ხუთის თვის განმავლობაში არ მიუცია სულ ხუთი-ექვსი გაკვეთილი; ყველაერში ჯერ ისევ გაკვეთილები იყო, როდესაც ბ. პ-ვი ტფილისში წასასვლელად ემზადებოდა და გაკვეთილებზედ არ დაიარებოდა და ტფილისში იყო, როდესაც დიდმარხვის პირველს კვირაში გაკვეთილები გაჩაღებული იყო სამოქ. სასწავლებელში. მეორე კლასელები, მოწაფენი ბ. პუპჩენკოვისა სხედან უ-გაკვეთილოდ, უმასწავლებლოდ, გულ-ხელ-დაკრეფილნი კლასში; ელიან, ელიან მასწავლებელსა და ბოლოს მოდიან სახლში უიმედონი, უსწავლელნი!

რატომ ბ. პიკნაძე, როგორადაც უფროსი და განმგე სასწავლებლისა ყველა ამ უწესოებას ყურადღებას არ აქცევს? საქმე იმაშია, რომ თვითონ ბ. პიკნაძე, რომელიც ყოველთვის სასწავლებელში უნდა იმყოფებოდეს და სწავლის მსვლელობას ყურადღებას აქცევდეს,—არ კმაყოფილდება თავის სასწ. საკმაო ჯამაგირსა, ფულს ხარბდება და გაკვეთილები აულია ქალების „ზავედენიაში". ის ზავედენიაში ბრძანდება და თავის სასწავლებელს კი ღვთის ანაბარად სტოვებს!..

რა უნდა მოჰკითხოთ იმ მოსწავლეთ, რომელნიც ნახევარზედ უმასწავლებლოდ არიან? რა უნდა მოჰსთხოვოთ მათ, ვისთვისაც არაფერი მიგიბარებიათ, არაფერი გისწავლებიათ?!!

მათვალიერებელი.

## წერილი რედაქტორთან.

—

№ 39-ში თქვენის პატივცემულის გაზეთისა გახლავთ დაბეჭდილი კორრესპონდენცია ახალ-ციხიდამ 5 თებერვალს ხელმოწერილი „ვინმე მესხი."

ბ. ვინმე მესხი ამ კორრესპონდენციაში ეხება დირექტორებს და მასწავლებლებს სასოფლო სასწავლებლებისა; ის აცხადებს, რომ საზოგადოება უჩივისო მათ მასზედაო, რომ პირველ შესულ მოწაფეებს აწყებინებენ სწავლას რუსულ ენაზედაო და თვითონაც ამტკიცებს, რომ ეს მართალიაო. შემდეგ ამბობს, რომ ვისაც საფუძვლიანათ შესწავლული არა აქვს თავის სამშობლო ქართული ენაო, ამისთანამ რაც მრავალი ენები იცოდეს, რაც მრავალი მეცნიერება შესწავლული ჰქონდეს და როგორც უნდა განათლების გზაზედ იდგესო, ვერა სარგებლობას ვერ მისცემს თავის სამშობლოსაო; და დამამტკიცებლად ამისა მოჰყავს, რომ გლეხ-კაცებს არ ესმით ახლანდელი დაწერილი ლექსები, რადგანაც ამ ლექსებში ურევია ბევრი ევროპიული ენების სიტყვებიო. ამ ზემოხსენებულ აზრებზედ მე დავეთანხმებოდი ბ. ვინმე მესხს, მაგრამ იმას ბოლოს მოჰყავს იმისთანა მაგალითი, რომელსაც არა აქვს ბევრი კავშირი ზემო-ხსენებულ აზრებთან. ის ამბობს:

ტოლოშის და ხერთვისის სკოლები სწორედ ამ წრეში დგანანო. პირველად მე უპასუხებ ბ. ვინმე მესხს, რომ ამ სასწავლებლების გამგენს არა ჰქონია მიზნად ის, რომ იქიდამ გამოსულ ბავშვებს შეეძლოთ ან ლექსის და ან სხვა და სხვა თხზულების დაწერა; ეს სასწავლებლები ამზადებენ ახალ შთამომავლობას, რომელმაც შემდეგ სწავლისა, ცხოვრებაში იქონიოს გაგება პირველ სწავლისა; ისინი საქართველოს არ დაუწერენ არც ლექსებს და არც თხზულებებს არც ქართულ ენაზედ და არც ევროპიულ ენების სიტყვებით.

ბ. ვინმე მესხი ამბობს, რომ პირველ-დაწყებით სასწავლებელში ბავშვებს მაშინვე აწყებინებენ რუსულ ენაზედ სწავლასაო. მე ვეკითხები ბ. ვინმე მესხს: იცის კი სად მდებარეობს ტოლოში და უსუნია როდისმე იქაურობისთვის? როდის იყო ის ტოლოშის სასწავლებელში და რომელი მოწაფე ნახა ჩემი, რომელმაც არ იცოდა კითხვა და წერა ქართულ ენაზედ? მობრძანდეს ჩემ სასწავლებელში და იხილოს თავის თვალით ჩემი მოწაფეები, რადგანაც ის ახლო სცხოვრობს ტოლოშზედ; მე მაშინ იმას დაუმტკიცებ რომ მე არ ვაწყებინებ სწავლას რუსულ ენაზედ და მხოლოთ შემდეგ ისე გადავდივარ რუსულ ენაზედ.

მეორე ალაგს ავტორი ამბობს, რომ მე, ვითომც გულ-გრილად ვეკიდები ჩემ თანამდებობას, გვამებრივ სასწავლებელში ვარ და ჭკუით კი სხვაგან, ზაფხულობით ვტოვებ სასწავლებელს და საპალნობით ვყიდი ხილს, ამის გამო ვაჩივლებ საზოგადოებას და ვტეხ სახელს... მე მიკვირს, ბ. რედაქტორო, რომ ბ. ვინმე მესხი დაახლოვებით ვერ მაცნობს და საიდან იცის, რომ მე არა მაქვს ერთგულობა ჩემი სამსახურისა. ეს აზრი იმას გამოჰყავს იქიდამ, რომ მე ზაფხულობით ვჰკრეფ ხილს და ვყიდი და ამასვე აწერს ჩემ სახელის გატეხას, გვამებრივათ სასწავლებელში ყოფნას, ჭკუით კი სხვაგან. იმაზედ მე ვეკითხები ავტორს: როდის მწიფდება ნაყოფი ხეხილებისა და შეიძლება იმდროს მასწავლებელმა იქონიოს სწავლა? ხილი მწიფდება აგვისტოში, სექტემბერში; რომელ სოფლის სასწავლებელში არის მაშინ სწავლა? მაშინ ყოველი მასწავლებელი თავისსუფალია სამსახურიდგან და რაც უნდა, იმას გააკეთებს. რა სახელი გატეხაა, რომ მე შეუაროო იმ დროს მამულებს, ხილი გავგზავნო გასაყიდათ, თუმც ამისთანა საქმეებს ასრულებს ჩემი სიმამრი, რომელსაც აქვს მამულები ს. ხაროში და რომელთანაც ამჟამად ზაფხულობით ვცხოვრობ ხოლმე?

მიკვირს ისიც არ დასწერა, რომ მე იმ კანიკულებში ყანასაც ვხნავ, კიდეც ვმკი და კიდეც ვლეწ, რომელსაც ვრაცხ სვინდისიან და ვალდებულ საქმეთ ყოველ განათლებულ კაცისთვის და არა სახელის გატეხად.

როდესაც სწავლის დრო მოვა, მაშინ ჩემ სასწავლებელში სულითაც, ხორცითაც და ჭკუითაც იქ ვარ.

ბ. ვინმე მესხი ამობს, ვითომც საზოგადოება მიჩიოდეს და მემდურებოდეს; მე უპასუხებ: არამც თუ ვიმდურებ და ვაჩივლებ ჩემ საზოგადოებას, არამედ ის არის ჩემი მეტად მადრიელი, და ეს მადლობა გამოუცხადა ბ. გამხილვეულს სას. სასწავლებლისა 20 ნოემბ. წარსულ წლისა, როდესაც განიხილა ჩემი შრომა.

გარდა ამისა ის ამბობს, რომ მე არ ვაკმაყოფილებ სწავლით ჩემ მოწაფეებს. ეს სიზმრით უნახავს?! საიდამ იცის აბა?.. სად, როდის და რომელი მოწაფე გამიშინჯა?

გავლილ წელს ტოლოშის სასწავლებელში დაასრულეს სწავლა 4 მოწაფემ: ორი იმათგანი არის მიღებული ახალციხის საქალაქო სასწავლებელში, ერთი დარჩა თავის მამის ოჯახში და მეოთხე ჩემთანვე ემზადება სოფლის მწერლათ და ყოველი კაცი, რომელიც ნახავს იმათ და ეხლანდელ ჩემ მოწაფეებსაც, დარწმუნებული იქნება, რომ არცერთ ბ. ვინმე მესხის ნალაპარაკევი არ არის სიმართლე, რადგანაც ჩემმა მოწაფეებმა კარგად იციან ქართულ ენაზედ წერაც და კითხვაც და ეგრეთვე რუსულ ენაზედ.

რომ მე საზოგადოებას ვყევარ მიჩნეული, როგორც პირი, ამსრულებელი სვინდისიანათ თავის თანამდებობისა, სჩანს კიდევ იქიდამ რომ ის ყოველ სასწავლებლის დანაკლისმ ულაპარაკოთ თავის ნებით აკმაყოფილებს და თავის ნებით გზავნის შვილებს სასწავლებლად. არც ერთ ტოლოშის მასწავლებელს არ ჰყოლია 10 მოწაფეზე მეტი, მაგრამ მე კი ეხლა მყავს 40. ჩემ წინ იქ იყო მასწავლებლად ბ. რ. დჟ—ვი მთელ წელს ჰყავდა ორი მოწაფე.

ამ ზემოყვანილიდამ ცხადად სჩანს, თუ როგორ მდგომარეობაში არის ჩემი სასწავლებელ და რამდენ სიმართლეს სწერს ჩემზედ ბ. ვინმე მესხი.

ტ. ს. სასწ. მასწ. გ. გეგიძე.

12 მარტს 1881-სა წელსა.
ს. ტოლოში.

---

ბ. რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის მე 25 ნომერში წავიკითხე ქუთაისიდამ ბ. პრისტავის ქუთათელაძის პასუხი შესახებ ჩემის დუქნის გატეხისა. ამაზედ ორიოდე ჩემს სიტყვასაც გთხოვო მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ბ. ქუთათელაძე უსიტყველად ღებულობს თავის თავზედ ჩემს საჩივარს, რომ იმან გაქურდვის ღამეს თავი მოიავათმყოფა, საქმეს ყურადღება არ მიაქცია, ქურდების და საქონლის, მოძებნას დამპირდა, რასაკვირველია, აუცილებელის ხარჯით შეერთებულით მსგავს შემთხვევაში, და ეს პირობა დამირღვია. ამაების შესახებ არას ბრძანებს და გამოხატავს რუსულ ანდაზას „გაჩუმება თანხმობის ნიშანი არისო."

შემდეგ ბ. პრისტავი ბრძანებს, ვითომც მე სამასი თუმნის არა დამკარგოდეს-რა. მე თუმც მეტი დამეკარგა და მომეტებული საფასო საქონელიც მქონდა და ეხლაც მაქვს როგორც ქუთაისის მაღაზიაში, ეგრეთვე ფოთისაშიაც და ეს, თუ ვინმე დახედავს და ან იანგარიშებს, შეამოწმებს, კიდეც დამტკიცდება; მაგ

რამ ბ. პრისტავის სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს: მე იმას ხომ არ ვწამებ ჩემის საქონლის წაღებას და იმას ხომ არ ვეაჭრები იმ განზრახვით, რომ ბევრი ფასი ვთხოვო და ნაკლები ავიღო? თუ ბ. ქუთათელაძე მოვალეთ სთვლის თავის თავს ჩემის ზარალის აღდგენისას, მე იმას ნაკლებს დავჯერდები.

სხვათა შორის ბ პრისტავი ამბობს, მე არ მითქვამსო „დროების“ რედაქციაში ეძიეო შენი ქურდები და საქონელი.!! ამის შესახებ მოვახსენებთ ბ. პრისტავს, რომ იმან ნამდვილად ზემორე ხსენებული სიტყვები მიბრძანა. ამას დაამტკიცებენ თვით მისი ამხანაგები, რომელთა გვარს დრომდის არ ვასახელებ. ბ. ქუთათელაძე ბძანებს, რომ ჩემი დუქანი არ გაუტეხიათო, გაალესო. თანახმა ვარ, გაალეს თუ გატეხეს, ეს ორივე ჩემთვის ერთია; გახიეს თუ გაფხრიწეს, საქონელი წამართვეს და მიშველეთ-თქო ვგოდავე, მაგრამ პატრონი კაცი არ არის. გარდა ამისა ბ. ქუთათელაძე ამბობს, რომ ჩემი ვექილი გაქურდვის ღამეს სახლში ქეიფობდაო და გვიან მოვიდა დუქანშიაო. ეს მართალი არ არის: ჩემი ვექილი უცხო ვინმე არ გახლავს, იმას იმდენი ინტერესი აქვს ჩემს დაკარგულებში, რამდენიც თითონ მე.

ბ. ქუთათელაძემ ის თუ კი შეიტყო, რომ ჩემს სახლში რა ამბავი იყო გაქურდვის ღამეს, უეჭველათ ქურდების შეტყობაც არ გაუძნელდებოდა, რომ მოენდომებინოს.

არტემ მურადოვი.

# განცხადებანი

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა. კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემხვეჭის ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანის სიგარები. (100—39)

## ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ-მეხანიკის გარტ კ. ფონსაპერის სისტემისა, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზავოდებზე, მზადდება თფილისში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე კარლ ნეიმანთან. (11—4)

## ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების“ მოდის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი სადღესასწაულოდ რომელიც 25° ₀ ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მაღაზიებში. იქვე იყიდება ჭორფლის წამალი და გამამშვენიერებელი ლეკანდეს. (10—2).

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

## კოსმეტიურს

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ეს-ეს არის მოუვიდა პარიჟიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ახლად მოგონილი თმის საღებავნი: „ოდეცტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დასურილისა; სხვათა შორის ერთი სახელად „უებარი“, ძალიან ხელ-მისაცემ ფასად.

ვიმედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მადლიერი იქნება. (10—6)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

თმის აღმო-ყვანი



მაკ-ასა-რი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—44)

ხველის კამფეტები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი ინგლისის მაღაზიაში. (20—9)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—19)

## დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეაში. (20—9).

## ბევრი კრაოტები

ფოლნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, პიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—9)

## დიდ-ძალ საქონლის დასყიდვა

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—4)

## ლონდონის მაღაზია

ერივნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასასყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის. საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—43)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**დედა-ენა** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი სალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რამდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და გერმოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

**ბუნების კარი** ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვარაანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც თხუთმეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ყდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა**, ისე **ბუნების კარი** მოწონებულნი არიან (**рекомендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით. (10—2)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამა ბანკის წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881 წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

## განსახილველი საგნები.

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გავლილ 1880 წლის ანგარიშისა (შემოსავალ-გასავლისა).
2) განსაზღვრა—თუ რაზედ უნდა დაიხარჯოს ბანკის შემოსავლიდამ „საზოგადო საჭიროებათათვის“ გადადებული ფული.
3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.
4) ამორჩევა ბანკის გამგეობიდამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლაყაშვილის სამაგიერო წევრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა. (7—1)

Дозволено цензурою· Тифлисъ 21 Мартъ 1881 г· Типографія С· Меликова· გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.